

# გიორგი კვირიკაშვიდი მერიდენში მდებარე ქართულ მონასტერს ესტუმრა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მერიდენში მდებარე ქართულ მონასტერს ესტუმრა. გიორგი კვირიკაშვიდი საქართველოს დედეგაციის წევრებთან ერთად წმ. ნინოს დედათა მონასტერი მოინახურა, საკვირაო ღვთისმსახურებას დაესწრო და ტაძრის მსახურებსა და მრევლს გაესაუბრა. ქართული მართლმადიდებლური ტაძარი მერიდენში ეპისკოპოს საბას ხერმძღვანელობით ფუნქციონირებს. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ტაძრის წინამძღვარსა და დედაოებს, ტაძრის ფარგლებში ჰუმანიტარული და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის, რაც ქართული კურტურის, ისტორიის, ღვთისმსახურებისა და ტრადიციების პოპულარიზაციას ემსახურება.

# შორაპანში სტალინის ძეგრი შეღებეს



სტალინის  
ძეგრი შეღებეს  
ბესტაფონის  
მუნიციპალიტეტის  
დაბა  
შორაპანში.  
ადგილობრივებმა  
ის გუშინ  
გვიან საღამოს  
შენიშნეს და

მისი დაღვმა საღებავების შესხმით გააპროტესტეს.

მოსახლეობის ინფორმაციით, ძეგრი ერთ-ერთი ყოფილი ქარხნის ეზოში  
იყო. ვინ გადმოიტანა ან როდის დაიდგა ის მეორე მსოფლიო ომში  
დაღუპულთა მემორიალთან, მათთვის უცნობია.

---

## ჩინეთმა მოქადაქეებს 2 ბავშვის ყორის ნება დართო



ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მოსახლეობას 2 ბავშვის ყოფის ნება დართო. ამრიგად, 1971 წელს ფართოდ შემოღებული პროგრამა „ერთი ოჯახი – ერთი ბავშვი,“ რომლის მიზანი ქვეყნის მოსახლეობის რეგულირება იყო, პრაქტიკულად დასრულდა. პროგრამის მიხედვით, რომელშიც პერიოდულად კორექტივები შეჰქონდათ, 2000 წლისთვის ჩინეთის მოსახლეობა 1,2 მილიარდი უნდა ყოფილიყო. სინამდვილეშიც ასე მოხდა – 2000 წელს ქვეყნის მოსახლეობამ 42,5 მილიონს შეადგინა. ამას გარდა, 30 მილიონი საერთოდ არ მოხვდა სტატისტიკაში, რადგან აღნიშნული რაოდენობა საბუთების გარეშე ცხოვრობს და მუშაობს.

პროგრამას არასასურველი შედეგებიც ჰქონდა: ჩინეთში გენდერული დისბალანსი და მოსახლეობის მზარდი დაბერება იკვეთება. მრავალი ჩინელი სვედექტიურ აბორტებს მიმართავს, ანუ მხოლოდ მამრობითი სქესის ნაყოფს ინარჩუნებენ. ბი–ბი–სის ინფორმაციით, მთავრობა ქალებს იძულებით აბორტებს აკეთებინებდა

ჩინელების მისწრაფებამ მამრობითი სქესის ყოფის შესახებ გამოიწვია ის, რომ დღესდღეობით ქვეყანაში მამაკაცების რაოდენობა ქალებთან

შედარებით 20 მილიონზე მეტია. ხედისუფრება სხვადასხვა ზომების გამოყენებით გოგონების დაბადების წახადისებას ცდილობს, მაგრამ ჯერჯერობით ამაოდ.

მრავალი ოჯახი კანონის გვერდის ავდას ცდილობს და მშობიარობისთვის ჰონკონგში ჩადიან, სადაც საკუთარი კანონმდებლობა მოქმედებს. ჩინეთისა და ჰონკონგის მთავრობა ცდილობს ამგვარი „დედობრივი ტურიზმის“ აღკვეთას, მშობიარეთა რაოდენობა ჰონკონგის ადგილობრივ მოსახლეობასაც აღიზიანებს.

2013 წელს ხედისუფრებაში ახადი თაობის მოსვრის შემდეგ, რომელსაც სი ცზინპინი მეტაურობს, მთავრობამ დემოგრაფიური პოლიტიკის შერბილებაზე დაიწყო ზრუნვა, ახდანდერი გადაწყვეტილება მოსახლეობისთვის მოცემური დაპირების ასრულება იყო.

---

## **ბაგები-წყნეთის 10 კიდომეტრიან მონაკვეთზე სანათი წერტილების მონესრიგების სამუშაოები დასრუდა**



ბაგები-წყნეთის 10 კილომეტრიან მონაკვეთზე სანათი წერტილების მოწესრიგების სამუშაოები დასრულდა. ობიექტი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მერის მოადგილე გიორგი სოლომონიასა და “სინათლის ქარაქის” დირექტორ ვასილ ხორავასთან ერთად დაათვალიერა.

აღნიშნულ მონაკვეთზე 260 გარე-განათების ბოძი შეიღება. სანათი ბოძების სამღებრო სამუშაოებზე “სინათლის ქარაქის” 30 თანამშრომელი და 12 ერთეული ტექნიკა მუშაობდა.

სანათი წერტილების მოწესრიგების სამუშაოები ბაფხურში დაიწყო. დავით ნარმანიას თქმით, სამუშაოების დაწყებიდან დღემდე, დედაქარაქის მასშტაბით, სურ 8 000-მდე სანათი წერტილი შეიღება.

“სამუშაოები კვდავ ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე არსებული რესურსით, კიდევ 7 000-ზე მეტი სანათის შეღებვას შევძლებთ. ამინდის შესაბამისად, მაქსიმალური დატვირთვით ვიმუშავებთ, რომ დედაქარაქი უფრო მეტად გარამაზდეს”, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

# დავით ნარმანიამ მოსახლეობას დედაქადაქის მთავრობის საქმიანობის ერთი წლის ანგარიში წარუდგინა



თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მოსახლეობას დედაქადაქის მთავრობის საქმიანობის ერთი წლის ანგარიში წარუდგინა. პრეზენტაციაზე მერიის სამსახურებისა და გამგეობების მიერ 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით წარმოებული სამუშაოები იყო წარმოდგენილი.

დედაქადაქის მთავრობის საქმიანობის ერთი წლის ანგარიში სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავს, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი

თბილისის 2015 წლის ბიუჯეტია, რომელიც პრიორიტეტების მიხედვით დაიგეგმა – მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფრასტრუქტურული, სოციალური, ჯანდაცვის, კულტურის, განათლებისა და სხვა პროგრამების ბიუჯეტები, ამასთან, შემცირდა თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების აღმინისტრაციული ხარჯები.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე – 2014 წლის ბოლო 3 თვის განმავლობაში ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები (23 609,3 ლარი), წინა ხედიანობის პირობებში, 2014 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში, ამავე ტიპის სამუშაოებში ბიუჯეტის ათვისებას (25 020,4 ლარი) უტოდება. რაც შეეხება 2015 წლის საგზაო სამუშაოებს, 2014 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემებთან შედარებით (224 119,20 მ2 ასფალტი), 2015 წლის ამავე პერიოდის განმავლობაში არსებითად მეტი გზის საფარი დაიგო (269 726,85 მ2 ასფალტი). განხორციელდა საინჟინრო ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ავარიული საცხოვრებელი შენობების კაპიტალური გამაგრება.

დამუშავების პროცესშია მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა, რომელიც ქარაქის მდგრადი განვითარების ძირეულ პრინციპებს მოიცავს. ამასთან, ქარაქის საჭიროებების გათვალისწინებით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, გამკაცრდა სარეკრეაციო ზონების დაცვის რეჟიმი, მშენებლობისას გაიზარდა გამწვანებული ნაწილის კოეფიციენტი. დედაქარაქის მდგრადი განვითარებისთვის თბილისის მერია “მომავლის ქარაქის” პროექტის განხორციელებას იწყებს. ქარაქის ისტორიაში პირველად, ძალაში შევიდა თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია, რომელიც მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, დედაქარაქის გარემოსდაცვით პრიორიტეტებს განსაზღვრავს. მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ემისიების, CO<sub>2</sub>-ის, შემცირებისა და თბილისში ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად.

დედაქარაქის მთავრობის საქმიანობის ერთი წლის ანგარიშში დეტალურად გაიწერა თბილისის მერიის მიერ 12 თვის განმავლობაში წარმოებული სამუშაოები, მათ შორისაა – შშმ პირთა ხელშეწყობა და ადაპტირებული გარემოს შექმნა, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ეკონომიკისა და ბიზნესის ხელშეწყობა, კულტურა,

განათლება, სპორტი და ახარგაზრდობა, გამწვანება, მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება.

ანგარიშის დიდი ნაწილი 13 ივნისის სტიქიის შედეგებსა და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ეთმობა – დედაქალაქის მთავრობამ დაზარალებულები დაუყოვნებლივ უზრუნველყო დროებითი საცხოვრისებით, რის შემდეგაც სტიქიის ზონებში დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის აღწერა/შეფასება განხორციელდა და ბოლო მონაცემებით, მერიის ხელშეწყობით, 37-მა ოჯახმა საცხოვრებელი ფართი უკვე შეიძინა. ამასთან, კვლევის შედეგების მიხედვით, შეიქმნა საოჯახო პაკეტები და დაზარალებულებს შესაბამისი კომპენსაციები ჩაერიცხათ. სტიქიის შედეგად დაზარალებული პირების სწავლის დაფინანსებას, უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე, დედაქალაქის მერია უზრუნველყოფს. მომზადდა დასკვნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი არეალების შესახებ, განხორციელდა და მიმდინარეობს მთელი რიგი საგზაო და ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ანგარიში, ასევე, მოიცავს თბილისის საცობებისგან განტვირთვის მიზნით ჩატარებულ, მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებს, მათ შორისაა – კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზა, აეროპორტის ხიდიდან დოჭინის ხიდამდე დაგეგმილია გზის კაპიტალური შეკეთება, ასევე, მნიშვნელოვანია კახეთის გზატკეცილის თბილისის ზღვასთან დაკავშირება.

დედაქალაქის მთავრობის საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და გამჭვირვადობის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, ამასთან, დამტკიცდა შიდა აუდიტის 2015-2017 წლების სტრატეგიული გეგმა, რაც სისტემის ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტურობას უზრუნველყოფს.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი წერილობით ერთხებ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ვადდებურია მუნიციპალიტეტის ამომრჩეველს დედაქალაქის მთავრობის საქმიანობის შესახებ შესაბამისი ანგარიში წარუდგინოს.



# ადრეური და სკოდამდერი აღზრდისა და განათლების სფერო კანონით დარეგულირდება



ადრეური და სკოდამდერი აღზრდისა და განათლების სფერო კანონით დარეგულირდება. კანონპროექტზე ორწლიანი კომპლექსური მუშაობის შედეგების პრეზენტაცია სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია“-ში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ორგანიზებით მოეწყო.

ღონისძიების მონაწილეებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესვია, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საშა

გრაუმანი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე რია გიგაური მიესაღმნენ. გამომსვდედებმა კანონპროექტის მომზადების, მასში ასახული ნორმების და პრინციპების საკანონმდებლო რეგულირების და ბავშვთა ადრეული ასაკის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ეკა ბესელია: „ორწიანი, მძიმე და შრომატევადი მუშაობის შედეგად, მომზადდა პროექტი, რომელიც ჩვენს მომავალ თაობას საუკეთესო სერვისს შესთავაზებს და სკოლაში შესვრამდე კარგ განათლებას მისცემს. ეს არის განათლების სფეროს უპრეცედენტო რეფორმა, რომელიც ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს მნიშვნელოვან სიახდეს სთავაზობს – ეს პროექტი ბაგა-ბაღებში ბავშვებს საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის და შესაბამისი განათლების მიღების საშუალებას მისცემს, როგორც ეს წამყვან განვითარებულ სახელმწიფოებში ხდება“.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტით გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა:

1. ადრეული განათლება და ზრუნვა დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის;
2. სკოლამდელი განათლება 2 წლის ასაკიდან ბავშვის სკოლაში შესვრამდე.

დოკუმენტში განმტკიცებულია პრინციპი, რომლის თანახმადაც, დაწესებულებაში აკრძალულია ბავშვთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ფიზიკური დასჯა, უგუდებედეყოფა, შეურაცხმყოფელი ან/და დამამცირებელი მოპყრობა. კანონპროექტის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს განათლების მომსახურებაში მშობერთა სრული ჩართულობის უზრუნველყოფა და საკონსულტაციო საბჭოების შექმნა წარმოადგენს. აღნიშნულ სფეროში მკაფიოდ იმიჯნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებები და საქართველოს მთავრობის, ცარკეული სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების კომპეტენციები. კანონპროექტით შემთავაზებულ ერთ-ერთ სიახდეს ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის სავადრებულო წესის შემოღება წარმოადგენს.

კანონპროექტის პრეზენტაციის შემდეგ, ღია დისკუსია გაიმართა. დაინტერესებულმა პირებმა საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს და კითხვა-პასუხის რეჟიმში დამატებითი ინფორმაცია მიიღეს.

ღონისძიებას კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო უწყებების, მუნიციპალიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები და პარლამენტის აპარატის თანამშრომლები დაესწრნენ.

# გორის სოფლებში ეპიდემიაა – სურსათის ეროვნული სააგენტო



გორის სოფლებში – წედისსა და ბნავისში ცხოველების დაცემის ფაქტთან დაკავშირებით სურსათის ეროვნული სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნულ სოფლებში თქტომბრის დასაწყისიდან დღემდე სულ 4 სული მსხვირფეხა

პირუტყვის დაცემა დაფიქსირდა, რომლის მიზეზი დაავადება ემკარი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ემკარი არ არის განსაკუთრებით საშიში დაავადება და მის წინააღმდეგ პროფილაქტიკური თუ სადიკვიდაციო ღონისძიებების ჩატარება სახელმწიფო პროგრამით არ არის გათვალისწინებული, სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტების დახმარებით ჩატარდა მოსახლეობის კუთვნილი საქონლის ვაქცინაცია. სურსათის ეროვნული სააგენტო

მოუწოდებს მოსახლეობას, მიმართონ კერძო ვეტერინარებს და პროფილაქტიკის მიზნით კუთვნილ შინაურ ცხოველებს ვაქცინაციები ჩაუტარონ ისეთ დაავადებებზე, რომლებზეც სახელმწიფო პროგრამით იმუნიზაცია გათვარისწინებული არ არის. სააგენტოს სპეციადრიტები მზად არიან კონსულტაციები გაუწიონ მოსახლეობას.

## თბილისში გამხმარი ხეების ტრა და მათი ჩანაცვლება დაიწყო



ოქროყანაში მავნებელ დაავადებებისგან გამხმარი წიწვოვანი ხეების მოჭრისა და მათი ჩანაცვლების მასშტაბური სამუშაოები დაიწყო. ტერიტორიაზე მონიშნული 10 ათასი გამხმარი შავი ფიჭვი ეტაპობრივად, ორი კვირის განმავლობაში მოიჭრება. ხეების მოჭრის სამუშაოების მიმდინარეობას ადგირზე გაეცნო

ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსი ბიძინა გორგობიანი.

ბიძინა გორგობიანის თქმით, მავნებლებისგან დაზიანებული ხეები მთანმინდის ფერდობებზე, თბილისის მერიის ინიციატივით, მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში მოინიშნა.

„აღნიშნული ღონისძიებები იმ გეგმის შესაბამისად ხორციელდება, რომელიც ჩვენმა სამსახურმა მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, დედაქალაქის ფერდობებზე მცენარეული საფარის მასობრივი ხმობის წინააღმდეგ შეიმუშავა. აღნიშნული გეგმა მთანმინდის ფერდობებზე 10 000 ძირი გამხმარი ხის მონიშვნას, მათ დაუყოვნებლივ მოჭრასა და შესაბამისი სახეობის ნარგავებით ინტენსიურ ჩანაცვრებას ითვალისწინებს. მცენარეების ხმობა დღეისათვის ქალაქის გამწვანების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს და, შესაბამისად, ძალიან მაღალია მის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი. პროცესის პირველ ეტაპზე, ხეების მონიშვნის სამუშაოებში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის პარტიზანი მებაღეები, აქტიურად იყვნენ ჩართული“, – განაცხადა ბიძინა გორგობიანმა.

თბილისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, „მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის“ მიერ ფიტოსანიტარიული მონიტორინგი ჩაუტარდა თბილისის შემოგარენის ტერიტორიაზე გაშენებული ფიჭვების ნარგაობას და გამოვლინდა პრობლემები, რომელიც სამსახურის მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებდა. ფიტოსანიტარიული დასკვნის თანახმად, რეაგირების ღონისძიებები გამხმარი ნარგაობისგან ტერიტორიების განმეინდას, მათ ჩანაცვრებას, ბუნებრივი განახლებისთვის ხელშეწყობასა და საშიში კერების გაზრდის პრევენციას გულისხმობს. ამჟამად ნარგავების ხმობის მხრივ ყველაზე საშიში კერებს მთანმინდისა და კუს ტბის ფერდობები წარმოადგენენ. გამხმარი ხეების მოჭრისა და მათი ჩანაცვრების ღონისძიებები დაგეგმილია ასევე დისისა და კუს ტბის გზაზე არსებულ ფერდობებზე.

ხე-მცენარეების მოჭრისა და გამოტანის სამუშაოებს ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის კონტრაქტორი კომპანია განახორციელებს.

ხმობის შედეგად მოჭრილი ხეები გამწვანების შესაბამის სეზონზე ჩანაცვრდება კრიმატური ცვლილებების მიმართ ისეთი რეზისტენტური ჯიშებით, როგორცა არის ჰიმარაის კედარი, იფანი, მუხა და აკაცია. მოჭრის შედეგად მიღებული საშეშე მერქანი გასათბობად სოციალურად

დაუცვედ ოჯახებს გადაეცემა. მოჭრიდი ხეების მერქანი ბიძინა გიორგობიანი და დღესვე ოქროყანაში მცხოვრებ სოციალურად დაუცვედ ოჯახს გადასცა.

## როშკა - არხოტის დამაკავშირებელი 28 კმ-იანი გზის მშენებლობა დაიწყო



საქართველოს რეგიონური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის დამაკავშირებელი, 28 კმ-იანი გზის მშენებლობა დაიწყო. სამშენებლო სამუშაოები დღეს სოფელ

როშკაში მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ გახსნეს.

როშკა-არხოტის დამაკავშირებელი გზა აქამდე არ არსებობდა და გადაადგილება მხოლოდ ფეხით, ცხენითა და ვეტმფრენით იყო შესაძლებელი. საქართველოს მთავრობის ძარისხმევითა და დაფინანსებით 2017 წლიდან პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთს სრულიად ახალი გზა დააკავშირებს. გზის მშენებლობის შემდეგ მშობლიურ სოფელში რამდენიმე ათეული ოჯახი დაბრუნდება. პროექტის ღირებულება – 10 900 000 ლარია.

აღსანიშნავია, რომ გზის არარსებობის გამო, წლების განმავლობაში,

არხოტი ნერ-ნერა დაიცავდა და ამ დროისთვის საზღვირსპირა სოფერში მხოლოდ 4 თჯახი ცხოვრობს, რომერთაგან ზამთარში მხოლოდ 2 თჯახი რჩება ადგირზე. შესაბამისად, აღნიშნური გზის მშენებლობას ამ მხარის განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნერობა აქვს. გარდა ამისა, პროექტის განხორციერება ხერს შეუწყობს ხევსურეთის ტურისტური პოტენციარის განვითარებასაც.

აღნიშნური გზის მშენებლობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ირია მეორემ დადოცა და მას საუკუნის პროექტი უწოდა.

## ტერმინ „დიეტურის“ დარდვევით გამოყენების გამო ოთხი ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა



სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტებმა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, უარკოჰლო სასმელების დოკუმენტური შემოწმება განახორციელეს. შემოწმების შედეგად გამოვლინდა ეტიკეტების წესის დარღვევის ორი შემთხვევა (ო/მ „გიორგი ნიკორაძე“, ო/მ „ედისო დევდარიანი“). კერძოდ, ეტიკეტზე მითითებული იყო დეფინიცია „დიეტური“, თუმცა მენარმეებმა ვერ წარმოადგინეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ნებართვა, რისთვისაც ისინი ეტიკეტების წესის დარღვევის გამო დაჯარიმდნენ.

აგრეთვე, შემოსული შეტყობინების საფუძველზე სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს სპეციალისტებმა გადაამოწმეს „ნიკორას“ მიერ წარმოებული მოხარშული ძეხვი „დიეტური“ და შპს „ედთი დისტრიბუციის“ (ღიბურთი საცხოობი) მიერ წარმოებული „გერმანული დიეტური პურის“ ეტიკეტებზე. ბიზნესოპერატორებმა ასევე ვერ წარმოადგინეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვა და ვერ დაადასტურეს ტერმინი „დიეტურის“ შესაბამისობა, რისთვისაც ისინი დაჯარიმდნენ.

ამასთან, მიმდინარეობს დიაბეტური სურსათის ეტიკეტების მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც სურსათის ეროვნული სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა სამმართველომ შეამოწმა ს/ს „ქართული რუდის კომპანია“. დოკუმენტური შემოწმების შედეგად დარღვევა არ გამოვლინდა, კომპანიამ რიმონათის ეტიკეტზე წარწერა „დიეტურის“ დასატანად შესაბამისი ნებართვა წარმოადგინა.

---